საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი 25 აგვისტო 1915 წ. წ. I.

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. ღამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 160 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 160

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათს, 27 აგვისტოს, დ. საჩხერეში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სოფიო იოსებ მიქელაძის ასულის კნ. წერეთლის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი თ-დი დიმიტრი სიმონის ძე წერეთელი.

ვაცხ. დებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

დ. ყვირილაში. სამოსწავლო მთავრობის ნებართვით ყუპარაძის სახლში გავხსენი

მოსამზადებელი სასწავლებელი

სადაც მომზადდებიან ბავშები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისათვის: გიმნაზვის რეალურის კომერციულისთვისა და სხ.

ფასი ოცი მანეთიდგან წელიწადში, სტუდენტი ვარლამ ფერაძე.

14—963

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი

ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას ღებულობს დილის 7 საათ.

მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე

უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

მხოლოდ 3 დღეს: ორშაბათს 24, 25 და 26 აგვისტოს მხატვრული პროგრამა.

პატე ჟურნალი. მიმდინარე ამბები.

სენსაცია!

წყვდიადი და მისი საუნჯენი.

მეტად ძლიერი დრამა 6 ნაწ., პროლოგით და ეპილოგით. მონაწილეობას მიიღებენ საიმპერატორო მცირე თეატრის ცნობილი არტისტი ვ. ვ. მაქსიმოვი და ინგლისის სამეფო თეატრის ცნობილი არტისტი ქალი ალისა აგრიში. აქტი 1-ლი: პროფესორი გასანი. აქტი 2-რე: სამართლის განაჩენი. აქტი 3-მე: მისი უკანასკნელი ნება. აქტი 4: საუკეთესო წლები. აქტი 5: ბედის ტრიალი. აქტი 6 მკვლელის შვილი.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ამერიკული კოლოსალური სურათი: მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ. 15 სერიათ და 45 ნაწილათ 15 ათას მეტრის ზომის ლენტი,

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოპოვებული

მ. ზ. კვინიხიძის

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე სააზბანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი. 21 აგვისტო.** მდინარე სტირის რაიონში ქალაქ ლუცქს და სოფელ დილავკას 17 აგვისტოს დილიდან მტერი მძიმე არტილერიიდან უშენდა. 18 აგვისტოს ზოგიერთი ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდენ და ორ საათზე სოფელ კოტოვიდან მტერი გარეკეს. მიუხედავთ ჩვენი არტილერიის დიდი ცეცხლისა მტრის გადიდებულმა ძალებმა დაიკავეს სოფლები: ზველოვი, პოპოე და პოლუბცი. მდინარე სტრიპის რაიონში 18 აგვისტოს საღამოს ცხრა საათიდან, ღამის ორ საათამდი გერმანელები ცდილობდენ ჩერემუშნია-ჟურიცის უბანზე შემოტევას, მაგრამ დიდი ზარალით უკუგდებულ იქნენ. იმავე დღეს მტრის მძიმე არტილერია შეეცადა ზენიუზის რაიონში ჩვენი ნაწილებისათვის სროლა აეტეხა, მაგრამ ჩვენმა მორტირებმა ჩააჩუმეს. 18 აგვისტოს ღამით რამდენიმე პუნქტზე მტერი შეეცადა ჩვენზე იერიში მოეტანა, მაგრამ ყოველთვის ვიგერიებდით თოფების ცეცხლით. 18 აგვისტოს დილით მტერი შემოტევაზე გადავიდა და სოფელი მეტენიუვი დაიკავა, მოშველებული რეზერვის კონტრ-იერიშით მტერი უკუ ვაგდეთ დასავლეთის მიმართულებით 18 აგვისტოს დღით მტერმა კიდევ მოიტანა იერიში მეტენიუვ-მილინოვცაზე, მოვიგერიეთ დიდი ზარალით მტრის მხრით. საღამოს შვიდ საათზე ერთი ჩვენი პოლკის მარჯვე იერიშით დავიკავეთ მაღლობი 371, რომელიც ცეცორის აღმოსავლეთითაა. იმავე დღეს ჩვენი მზვერავები მდინარე სტრიპაზე გადავიდენ და კოპიცე-მედოვე-ბუდილოვი დაიკავეს, ამ სოფელში მყოფ ავსტრიელთა ერთი ნაწილი დავხოცეთ, ნაწილი ტყვეთ წამოვიყვანეთ. საღამოს ცხრა საათზე საარტილერიო ცეცხლის დახმარებით მტერმა იერიში მოიტანა ჩერემუშნია-ჟულიცის უბანზე და ორი ჩვენი როტის სანგრებში შემოიჭრა, მაგრამ ღამის ორ ს. მოშველებული რეზერვების კონტრ იერიშით უკუგდებულ იქნა. დაახლოვებითი გამოანგარიშებით გამოირკვა, რომ ამ რაიონში 17 აგვისტოს ჩვენ ტყვეთ წამოგვიყვანია გერმანელებისაგან 28 აფიცერი და 1926 ჯარისკაცი, ავსტრიელებისგან 39 აფიცერი და 2706 ჯარისკაცი. 17 აგვისტოს საღამოს ცხრა საათზე სოფელ ვარკანუვთან ერთ ჩვენ პოლკზე იერიში მოიტანეს, პოლკის მედგარი შეტევით იერიში მოგერებულ იქნა. ღამის სამ საათზე 18 აგვისტოს ჩვენმა ნაწილებმა სოფელ მოგილიოვის მწვერვალთან მტერს მედგრათ შეუტიეს და უკუაგდეს, მტერი გაიქცა. ბევრი დავატყვევეთ იმავე ღამეს სოფელ პრაქე-

ვოლოკის რაიონში რამდენიმე იერიშით ავსტრიელებმა ჩვენი ნაწილები შეავიწროვეს, მაგრამ მოშველებულმა რეზერვმა ისინი უკუაგდო თავიანთ თხრილებში, დავატყვევეთ 11 აფიცერი და 458 ჯარისკაცი, ბევრი ტყვიისმფრქვეველები და იარაღები ვიგდეთ ხელთ.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21 აგვისტო. მთავარსარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა. რიგა-დვინის ფრონტზე სოფელ ლინდემის რაიონში ჩვენი ჯარები დვინის მარჯვენა ნაპირსე მედგარი ბრძოლის შემდეგ 20 აგვისტოს დილით მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. ხიდი დავწვით, ბრძოლა გრძელდება. 19 და 20 აგვისტოს განმავლობაში ფრიდხშტადტის პოზიციებს მტერი მძიმე არტილერიიდან ესროდა, სვენტასა და ვილიას შუა ჩვენი ჯარების შეტევას მტერმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, ამის მიუხედავათ ჩვენ წინ წავიწიეთ, გასულ დღეებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 13 ტყვიის მფრქვეველი და 300 ტყვე აფიცრებით. ვილიისა და ნემანის შუა და ნემანის მარჯვენა ნაპირით გროდნომდი არსებითი ცვლილებები არ ყოფილა. 20 აგვისტოს მტერმა წარმატებით შეასრულა ნემანის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა, გროდნოს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ მიდამოებში მედგარი ბრძოლებია. გროდნოსარაიონიდან სამხრეთით პრიპეტამდი არსებითი ცვლილებები არ ყოფილა, მხოლოთ საარიერგრადო ბრძოლებია ინდურის სამხრეთ რაიონში და ბერესტოვიცასთან. ლუცკის რაიონიდან კლევონის და ტარგოვიცეს მიმართულებით 19 აგვისტოს ორივე მხრისათვის უშედეგო შეტაკებები ხდებოდა. გალიციაში მდინარე სერეტაზე ახალი პოზიციები დავიჭირეთ. დნესტრზე 19 აგვისტოს მტერმა სტრიპის და ზალევჩიკის სათავეების რაიონში შემოგვიტია, მოვიგერიეთ.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

### მინისტრთა საბჭოში.

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ მინისტრთა საბჭოს განზრახვა აქვს მომავალ სხდომაზე ათი უპორტფელო მინისტრის მოწვევის საკითხი გაარკვიოს, ამ წინადადებით უმაღლეს მთავრობას ათი ახალი წევრი მიემატება, რომელთაც მინისტრთა საბჭოში გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცემათ, მხოლოთ ისინი ოფიციალურ მინისტრებათ არ ჩაითვლებიან.

— —

დეპ. კერენსკიმ ბურცევისაგან ცნობა მიიღო, რომის უკვე გაანთავისუფლეს და ახლა კრასნოიარსკში იმყოფება.

### მოსკოველთა თათბირი.

მოსკოვში კონოვალოვის თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი თათბირი, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები: მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტების, ერობების, ქალაქების, ბირჟისა და ვაჭრების საზოგადოებათა, პარტიებისა და მეცნიერებისა. თათბირი შეტათ მწვავე სადღეისო კითხვებს შეეხო. სახელდობრ შეეცადა გაერკვია, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფოს მართვა გამგეობა. თათბირის აზრით, საჭიროა რუსეთს სათავეში ჩაუდგეს ახლავე ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა. რაც შეეხება ომს, თათბირმა დაადგინა: იბრძოლონ ბოლომდე: „რადაც უნდა დაუჯდესთ".

— —

ამსტერდამიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ გერმანელებმა ბელგიაში 800 ვერსის სიგძეზე რკინის გზის რელსები აყარეს და რუსეთს გადაიტანესო.

— —

ზოგი გაზეთის სიტყვით, რუმინეთი ავსტრიის წინააღმდეგ სეკტემბრის პირველ რიცხვებში გამოვა. ამისთვის ავსტრია დიდ მზადებაშია და რუმინეთის საზღვრებს ამაგრებს.

— —

ქ. ვილნოდან გამოქცეულები მინსკში მივიდენ. ისინი დანამდვილებით ამბობენ, რომ სროლის ხმა ვილნოს ახლო ისმოდაო, პოლიცია და ფოსტავილნოდან უკვე გავიდა; გაზეთები გარდა პოლონურისა, ყველა დაიხურა.

———

პარიზიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ოსმალეთი უკვე შეუთანხმდა ბულგარეთს.

# მწარე ფიქრები.

მწარე ფიქრები ერთი მეორეზე უმძიმესი და უსასტიკესი დაჟანებით აწვება თანდათან ქართველი ადამიანის გულსა და გონებას.

ისტორიული მომენტი, სასტიკი და გამოუცნობი, დიდი შედეგი საერთაშორისო ომისა, ზღვა სისხლისა და უდიდესი მსხვერპლი და მასთან ჩვენი შინაური ოჯახური აუტანელი მდგომარეობა ცრემლთა კვნესით შეზავებული.

დიდ ერს დიდი ძალა აქვს ბედის სიმკაცრის გადასატანათ, მწარე ხვედრი, რომელიც შეიძლება ასეთ ერს მოევლინოს საყოველთაოდ ნაწილდება და წვრილ ნაწილებად ქცეული ადვილი დასაძლევი ხდება, ჩვენ ქართველებს—კი რიცხვით მცირედს, ხოლო ტანჯვითა და ვაებით მდიდარს, კვლავ გვცდის ბედი.

ბედო ქართველთა? მრავალჯერ მოგიტანია შენი ულმობელი იერიში ჩვენს სამშობლოზე? არაერთის გზით გიცდია ქართველი ადამიანის ბუნების დაძლევა; არა ერთი სისასტიკისათვის მოგიმართავს, მაგრამ ქართველის ბუნება გამძლე და გაუტეხელი იობის მოთმინებით ითმენს შენს სისასტიკეს.

დღესაც გვცდი, გვცდი ულმობელად, შეუბრალებლად, მოგვივლინე სტიქიონი მწუხარებისა, შავ ძაძებში გახვიე ტურფა მხარე, გაკრიფე ქვეყნის ჭირისუფლენი და დიდი მოღვაწენი, გამოგლიჯე ხელიდამ უკანასკნელი რჩეული შვილი, მთის არწივი ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ქართველი ადამიანის გული ჯერ ისევ ფოლადია. იგი დღესაც იპოვის სულიერ ძალას. არ დაჰკარგავს იობის მოთმინებას, იმედს, უკეთესი მომავალი ბედისწერისას.

ორმა დიდებულმა შვილმა დღევანდელის ქართველობისამ თან ჩაიყოლია სამარეში გამოუცნობი საიდუმლოება.

აკაკიმ და ვაჟამ თან წაიღეს მწარე კვნესა ჩვენი აწმყო დროისა, მწარე ფიქრები უხილავი მომავლისა.

მათი სპეტაკი სული, ჩვენს ღირსეულ წინაპართა შორის დამკვიდრებული, შეერთებულად ავედრებენ განგებას მათს სამშობლოს ბედისწერას და მოგვიწოდებენ ჩვენ სიმტკიცისა, მხნეობისა და ძალთა შესაკრებათ, რათა მათ მიერ დატოვებული ანდერძი ალვასრულოთ, რაც უნდა მწარე განცდა გვარგუნოს ბედმა...

**ჯაფარ-ფაშა.**

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ დღეს, 25 აგვისტოს, დილის მატარებლით თბილისს მიემგზავრება ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე. თავ. ნიჟარაძე თფილისში იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე, რომ დაჩქარებულ იქნეს ქალთა ქართული გიმნაზიის წესდების დამტკიცება და სასწავლებლის დაარსება ქუთაისში.

✦ კვირას, 23 აგვისტოს, შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდა ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელზედაც გამორკვეულიყო საკითხი მუდმივი დასის მოწვევის შესახებ.

* * *

არწივი სულით თავისუფალი,
ლაღათ ნავარდობს ცისა მწვერვალზე!
მწყერი ერთგული მიწისა შვილი,
მინდორში ხარობს პურის მარცვალზე!

— —

ღამურა დღისით შეშინებული,
ძალ-გულოვნებით ბნელში ივსება;
ტოროლა მზისგან გაღვიძებული,
სხივებს მოლხენით ეალერსება.

— —

ყოველ სულიერს წილად რგებია,
თვისი ბუნების მგზავსი ცხოვრება!
ჩვენი სიცოცხლე, ოჰ რასთვის არი,
მხოლოდღა ცრემლი და მწუხარება?

— —

ივერიელნო, სად გვაქვს, ადგილი—
სურვილი მიზანს როდის მიწვდება?
საბრალო მონათ, თუ რომ ვარ
ქმნილი,
გმირული ლტოლვა, რად გვებადება?!

**კატო მიქელაძე.**

# ერთი დღე სოფლად.

(ბ ა ნ ც ე ა*).

„მე გიცნობთ თქვენ, სულ-მოკლენო,
ვიცი თქვენი გულისთქმანიც,
ქვენაგრძნობას შეუპყრიხართ,—
ღაღადებენ ამას ქვანიც!—

*) იხ. „სამშობლო" № 158.

თქვენი ლოცვა ლოცვას არ ჰგავს,
სათნოება—სათნოებას,
ბიწიერად ავარჯიშებთ
თქვენს გულსა და თქვენს გონებას
„პური ჩვენი არსობისა",
ამის მეტი არ-რა გახსოვთ—
და ბღავილით შემომქმედსა
აწუხებთ და ლუკმას შესთხოვთ.
კუჭის მრწამსი გაგიხდიათ
ოცნებათ და იდეალად...
დიდის მოძღვრის დიდი მცნება,
გეჩვენებათ ნატერფალად!...
შორს აქედან! გაგეცლებით!...
თქვენს გარშემო, ირგვლივ, ბნელა!
სული მიწუხს, გული მიკვნესს,
რამ დაგცარათ, ნეტავ, ყველა?!...
გემედრები, ბედო ჩემო!
ნუ მომაკლებ ღვთიურ სალამს,
ასეთ ხალხში ვერ აღვმართავ
ჩემს დროშასა და ჩემს ალამს!?...

გადმოვაქართულე ბრანდის პირით ნათქვამი დიდებული იბსენის სიტყვები, როცა ძირულის რკინის ხიდს გავცდით და მაღლობიდან გადმოვხედე დაბლა გაშენებულ სადგურ-ყაზარმა-დუქან-ბაზარს!..

ღმერთო ჩემო, რა გარჩევა იყო შემოქმედის ხელოვნებასა და ხალხთა ხელოსნობას შორის!

აჰ... დიდებული, ხელთუქმნელი სურათი: მთა-ტყე, ველი, ყვავილ-ბალახი, დაუსრულებლად მოდუდუნე ნეტარების ცრემლები ბუნებისა—მდ. ძირულა—და რაღაც გამოურკვეველის საიდუმლოებით აღსავსე დუმილი მიდამოისა. არა, დუმილი კი არა! აუწერელი, გამოუთქმელი ფშვინვა სიცოცხლისა, ჰარმონიისა, პოეზიისა, რომელი ფშვინვაც ცხოვრების უკუღმართობით გაოგნებულ ადამიანს სამარისებულ სიჩუმეთ ეჩვენება ხოლმე და თავისის ძლევამოსილობით, თავისის მიუწდომელის სიმშვენიერით ატყვევებს, ჰხიბლავს და აბრუებს ამავე ადამიანს! იქ კი...

იქ, სადაც ადამიანს მოუნდომებია თავისი თავის გამოჩენა:,—პატარა, უშნო, ჭილყვავის ბუდესავით მინგრეულ-მონგრეული ქოხმახები, ჭუჭყი, ლაფი, ძალ-მომრეობა, უფროს-უნცროსობა, შენ-ჩემობა, დაუსრულებელი ლანძღვა-გინება და მოტყუება!... ფუსფუსი რიღასთვისაც და რაღათაც: ყვირილი და ბობოქრობა, შტიალი და ჩურჩული, ფუფუნება და სიმშილი, წყევა და გმობა, სიცილი და ტირილი, ერთგულება და ღალატი, ორ-პირობა და თვალთმაქცობა!..

რათა? რისთვის? რა საჭიროა ყველა ეს? ის არა სჯობდა, რომ ბუნებისაგან გვესწავლა ჭკუა, გადაგვება ხელი-ხელს, მიგვეყრდნო მხარი მხარს, აქამდისაც მივშველებოდით ერთმანეთს, საერთო გვქონოდა ჭირიც და ლხინიც, ერთად დავხვედროდით დარსაც და ავდარსაც, ერთად მივკვებებოდით მტერსაც და მოყვარესაც!..

შენ ხომ უჩემოთ არ ვარგიხარ, ადამიანო, და მე კიდევ უშენოთ! მაშ, რათა ვჭამთ ერთმანეთს?

ალბათ იმიტომ, რომ ბუნება ყოველ გაზაფხულზე გაცოცხლდება ხოლმე, კაცი, ადამიანი კი ერთხელ იბადება და ეცნობა-რა სიცოცხლის სიტკბოებას, აღარ უნდა, რომ მოკვდეს... სიკვდილი კი ყველას ზურგით დაგვაქვს და მწარე აუცილებლობის მოლოდინში ადამიანი მხოლოდ ეგოიზმით ივსება, თავისზე უკეთესს არავის და არაფერს აღარა ხედავს.

მაგრამ მაინც საცოდავი, საპყარია ერთეული ადამიანი!..

— მაშ, შევერთდეთ მეგობრებო! წამოვიძახე გატაცებით და ჩემი თანამგზავრების ნახვა მომწყურდა.

თანამგზავრები კი გაფანტულიყვნენ შარაზე და შორს,—აქა-იქ,—ან მარტო, ან წყვილ-წყვილად მიდიოდენ, ჩაფიქრებულნი, ოცნებში გაწურულნი...

საშ ნელი მარტოობა ვიგრძენ,—და კინაღამ უკანვე—სადგურზე—რ დავბრუნდი რისთვისაც ერთხელ კიდევ დავაცქერდი დაბლა—ხეობაში—მოფუსფუსე ხალხს...

ძირულის ხიდის თავსა და ბოლოში

გამგეობამ თავის მოხსენებაში აღნიშნა რომ თუ მუდმივ დასს მოვიწვევთ, დეფიციტი 7000 მან. გვექნებაო. მიუხედავათ ამისა, გამგეობის რამდენიმე წევრი დასის მოწვევას მაინც მოითხოვდა. საზოგადოების უმეტესია ნაწილიც მათი მომხრე იყო. მაგრამ რადგანაც იმ კომისიაში შესვლა არავინ იკისრა, რომელ კომისიასაც ფულები უნდა მოეგროვებინა მომავალი დეფიციტის დასაფარავათ, დაადგინეს; მუდმივი დასი აღარ მოიწვიონ, წარმოდგენების გამართვა მიენდოთ კერძო ამხანაგობას, რომელსაც გამგეობა შეძლებისადაგვარად დაეხმარება.

✦ ქუთ. პროექტორებს ამ ბოლო ხანებში დიდძალი მდაბიო ხალხი და მოსწავლეები ესწრება, ამიტომ მათი პატრონები მოვალენი არიან რიგიანი სურათები აჩვენონ ხალხს. მაგრამ ხანდახან უმსგავსო სურათებს აჩვენებენ, როგორც იყო, მაგ. კვირას, 23 აგვისტოს, „ედისონში“ ნაჩვენები სურათი: „მომაკვდინებელი ცოდვა მამისა“. —ასეთი სურათები ახალგაზდობას გარყვნილობის მეტს არას შესძენს. თუ სულ არ მოსპობენ ასეთ სურათების ჩვენებას, მოზარდებს მაინც ნუღარ უშვებენ პროექტორებში.

— მივაქცევთ „მონპლეზირის“ პატრონის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამ პროექტორში მეტის მეტი დიდი ანტრაქტებია ხოლმე. მაყურებლებს დროც ეკარგებათ და მოთმინებაც.

## ჩვენ შორის.

გუშინ წინ, 23 აგვისტოს, შემთხვევით დავესწარ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებას.

გადასაწყვეტი იყო ორი საკითხი: 1) იყოლიოს თუ არა გამგეობამ მუდმივი დასი მომავალ სეზონში და 2) თუ იყოლიოს, საიდან იშოვოს სალსარი მის შესანახათ?

როგორც ყოველთვის, კრება ახლაც მცირერიცხოვანი იყო. სულ 15—20 კაცი არ დასწრებია, თუმცა გამგეობას ძალიან ბევრისთვის გაუგზავნია საგანგებო მოწვევის ბარათი...

დაყენებულმა კითხვებმა დიდი კამათი გამოიწვია და გამოირკვა, რომ:

1) თვით გამგეობის წევრები ვერ შეთანხმებულან ამა თუ იმ საკითხში და

2) საქმის ასე თუ ისე მოსაწყობათ ის ოხერი ფული ყოფილა საჭირო.

— მოგვეცით ფულები, მოგვეცით გარანტია და გვიმსახურეთო!—თავგამოდებით გაიძახოდა გამგეობის ერთი წევრთაგანი.

— ფულები რამდენიც გნებავთ, თქვენ გვიბძანეთ რაზე და როგორ უნდა მოიხმაროთ ეს ფულებიო?—თავგამოდებითვე იკვეხდა და ეკითხებოდა ზოგიერთი წევრთაგანიც.

ამ მოთხოვნა-კითხვაში გადიოდა დრო და, რადგანაც მე თვითონ ამდენი დრო არა მქონდა, კრებიდან წამოვედი და არ ვიცი რითი დასრულდა მჭერმეტყველება მეკრებეთა. ამას ალბათ, რეპორტიორი შეგვატყობინებს, ხოლო მე თუ ამ კრების შესახებ ჩამოვაგდე ლაპარაკი, მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ქართველურ დაუდევრობაზე.

1) ერთი საქმე სჯობს ათასს სიტყვასაო,—ნათქვამია, ჩვენ კი ორიათასს სიტყვასაც ვიტყვით, ოღონდ კაპიკი ნუ გადაგვხვდება!

ვინც, საზოგადოთ, ჩვენ კრებებზე ბევრსა ლაპარაკობს ხოლმე, გრძელი სიტყვებისა და თავის გამოჩენის მაგიერ— ორი სამი თუმანი რომ ამოიღოს და დასდოს, საქმის დასაწყებათ საჭირო თანხა უკვე შესდგება. დანარჩენს კი გამგეობის მოქმედება გვიჩვენებს. მაგრამ ის ოხერი ფულები გვირჩევნია ყოველივე საზოგადო საქმეს!..

2) ჩვენ,— ორატორები და მოლაპარაკენი,— ძალიან აბუჩათ ვექცევით საზოგადოთ ხალხს, მასსას.

— თეატრში არ დადიანო!

ტყუილია! თეატრში მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხალხის მშრომელი ნაწილი დადის, იშვიათად თუ შეხვდებით ქართულ წარმოდგენებზე ექიმს, ვექილს, მასწავლებელს, საზოგადოთ, „ინტელიგენტ“ ქართველს...

— რატომ არ დაიარებიან?

— თეატრის შენობა არ გვივარგა... რეპერტუარი მდარეა... ესთეტიურ გრძნობას ვერ აკმაყოფილებსო.

ესეც ტყუილია! როცა უცხოთა დასი ჩამოდის ხოლმე და ყოვლად უჯიშო, უაზრო და მხოლოდ პრანჭვა-გრეხის პიესებსა სდგამენ—რათ არის ხოლმე მაშინ სავსე ქუთაისის თეატრი?

იმიტომ, რომ ქართველი ინტელიგენტები გადაგვარების გზას ადგიან და უმრავლესობა ქართველის სახელს ტყუილად ატარებს.

ქართველი მშრომელი ხალხი აცხოვრებს თითოეულ ჩვენთაგანს:—ექიმს, ვექილს, მასწავლებელს, ვაჭარს და სხვა. ნუ თუ ეს პატივცემულნი პირნი მოვალენი არ არიან წელიწადში თითო თუმანი მაინც გადაიხადონ ამავე მშრომელთა სასარგებლოდ?

დაე, ეს პატივცემულნი პირნი ნუ ივლიან ქართულ თეატრში, მშრომელი ხალხის ზურგიდან ათასისა და ორიათასი მანათიდან ათი და ოცი მანათი რომ ძალით გამოვართვათ ამ ბატონებს განა ნება არა გვაქვს?

ამიტომ მე ვადგენ ასეთ პროექტს:

საქართველოს თითოეულ სოფლისა, დაბისა და ქალაქის ნამდვილმა პირის უფლებმა უნდა შეადგინონ დაწვრილებითი სია ამა თუ იმ ადგილას მცხოვრებ ინტელიგენტისა—რომელსაც საკმაო შემოსავალი აქვს, გააწერონ გადაჭრილი თანხა და არჩეულის კაცების პირით მოსთხოვონ ამ თანხის გადახდა.

ვინც არ გადიხდის, საჯაროთ დაგმობილ უნდა იქნეს.

ვინც არ გადიხდის, არც ერთს ქართულ დაწესებულებაში არ უნდა იქნეს არჩეული.

ვინც არ გადიხდის, ქართველის სახელი უნდა წავართვათ!..

აი, ეს იქნება საქმე! თორემ თუ ლაპარაკზე მიაგდე ქართველი ინტელიგენტი, იმდენს გელაპარაკება, რომ თავსაც "მოღვაწეთ" მოგალანდებს და კიდევ ის მშრომელი ხალხი დარჩება მტყუანი, რომელიც მას აძლევს საშუალებას ათასები მოანდომოს თავის პირად ბედნიერებას!...

ორი დიდი ეროვნული დაწესებულება გვაქვს: წერა-კითხვის საზოგადოება და დრამატიული საზოგადოება. ვინც ამ დაწესებულებათა წევრი არ არის, ვისაც თავისი წვლილი არ შეაქვს ამ დაწესებულებაში, ის ღირსი არ არის ქართველების სახელით ლაპარაკობდეს, ის ღირსი არ არის იმ ლუკმისა, რომელსაც მას ქართველი ხალხი აძლევს.

ქუთაისში, მაგალითად, 70 ათასი ქართველი სცხოვრობს და განა სირცხვილი და თავის მოჭრა არ არის, რომ ქართულ დრამატიულ თუ წერა-კითხვის საზოგადოების კასსაში თაგვები დაფხაკურობდენ და ათასი მანათიც არ იყოს, რომ ესა თუ ის საქმე თავის დროზე დაიწყონ?!..

კმარა, ჩაუკვირდენ ამ მოვლენას იხინი, ვისაც თავისი თავი ქართველი ხალხის მესვეურათ მოაქვს და ვისაც, ვიცი, ჩემი პროექტი არ მოეწონება.

ისინი ხომ ბრჭყვიალა ფოლაქები არიან იმ უკულმართის მუნდირისა, რომელიც ჩვენ ხალხს ჩააცვა უკეთურმა ცხოვრებამ.

დროა, თვით ხალხმა ძალით მაინც იმსახუროს ისინი, ვისაც ესევე ხალხი წელიწადში ათასებსა და ათი ათასებს აძლევს!..

**კიკო.**

---

კერპებივით გაყუდებულიყვენ ჯარის-კაცები, მხარზე პრიალა ხიშტიანი თოფები გაეწყოთ და მზათ იყვენ ერთის თქმით, ერთის ხელის აქნევით შუბზე წამოეცვათ თავისივე მსგავსი ადამიანები...

იქვე, სადგურის მახლობლათ კი, შეგროვილიყვნენ ჩვენებური მოლაშქრენი:—დაღვრემილნი... დაფლეთილნი... მშიერნი მწყურვალნი....

შორიახლოს სტიროდენ დედები, ცოლები, დები...

სადაურნი სად მიდიან? რათა? რისთვის?

ოხ, ეს წყეული ომი!

ვაი, უპატრონოებს, ვაი უმღვთოებს!

თავს ბრუ დამესხა, თვალები ამიჭრიალდა!

ძირულას ხევი სისხლის მორევათ მომეჩვენა... ბუნების ფშვინვა—ხალხთა კვნესა-გოდებათ და სიმწარისაგან თვალებზე ცრემლი გადმომეკიდა...

არა!

შორს აქედან! გაგეცლებით!

თქვენს გარშემო,—ირგვლივ,—ბნელა,
სული მიწუხს, გული მიკვნესს,
რამ დაგცარათ,—ნეტავ, ეგეღა?!
გევედრები, ბედო ჩემო,
ნუ მომკლებ ღვთიურ სალამს,
ასეთ ხალხში ვერ აღვმართავ,
ჩემს დროშასა და ჩემს ალამს!-მეთქი

ერთხელ კიდევ გავიმეორე ბრანდის სიტყვები და აჩქარებით გავუდექ შარა-გზას,—შრომისაკენ.

დიდხანს მივდიოდი დაფიქრებული, არ ვგრძნობდი—არც დაღალვას, არც სიცხეს და მინდოდა ასე მევლო, მევლო დაუსრულებლათ, მევლო მთელი დღე და ღამე, რომ ფიქრში ჩამეკლა ჩემი არსება, ტანჯვაში გამომეწრთო ჩემი უილაჯობა და უმწეობა.

შარა-გზა ტყე-ტყე მიდიოდა, ძირულის პირად და, არ ვიცი, მე ვუკრავდი თავს გზის ნაპირებზე საყვარლად ჩამომწკრივებულ ბუჩქნარებს, თუ ისინი მესალმებოდენ—ეს კია, რომ—როდის როდის—გამოვერკვიე და ერთ ყრუ, მაგრამ ქორფა ხეებით შემკულ ბექობზე შევისვენე.

გამიგონია:—მეწისქვილეს ღამით მხოლოდ მაშინ გამოეღვიძება, როცა წისქვილის ქვები გაჩუმდებიან; იმათ გრიალ რუხრუხის დროს კი ტკბილად სძინავსო...

მეც ასე მომივიდა! ბუნების საიდუმლო სიჩუმემ ხალხთა ბობოქრობას მოშორებული—თან და თან გამომაფხიზლა და სიამოვნებით წამოვწექ ხავერდოვან მოლზე.

ჩემ წინ თვალუწვდენელი ღრანტე იყო. მის ფსკერზე მოდუდუნებდა მღვრიე, მაგრამ მზის სხივებით გალაპლაპებული ძირულა, თავზე კი წამომდგომოდენ ნორჩი ხეები, ტოტი ტოტზე გადაედოთ და ისეთი მშვენიერი საჩრდილობელი, კარავი შეეკრათ, რომ ასეთ კარავის შეკვრას ვერც ერთი ხუროთ მოძღვარი ვერ მოახერხებდა.

ნელი სიო ოდნავ არხევდა ხის კენწეროებს და დაბლა რაღაც საამური, ზღაპრული ჩურჩული მესმოდა. ჩურჩული იგი მაგონებდა ჩემ სიყმაწვილეს, სატრფოს პირველ მორცხვ ტიტინს და გული სიამოვნებით მიძგერდა..,

ხორცმა ჩემმა დაუტევა ძრწოლა და სულმა ჩემმა გაშალა ფრთა ოცნებისა.

ოხ, ეს ოცნება! ესეც ერთგვარი ავადმყოფობა უნდა იყოს!

პაწია ბავშვივით, უმანკოდ ვიგრძენი თავი და ჩემს გვერდით ამოსულ ყვავილ-ბალახებს ალერსი დავუწყე. ვეტიტინებოდი, ვესაყვარლებოდი თითოეულ მათგანს... ყველანი ერთმანეთს ჰგავდენ, მაგრამ ამავე დროს ისე განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან, რომ აღარ ვიცოდი, რომელი მათგანი უფრო მომწონდა, უფრო მიყვარდა. ყველა ერთად და თითოეული ცალკე, ისეთი ზეადმტაცი, ისეთი მშვენიერი იყო, რომ გინდოდათ გულში ჩაგეკრათ და დაგეკოცნათ.

არ ვიცი, რა ჰქვიათ სახელად ამ ბალახებს—იქ არ იყო არც ია, არც ნარგიზი, არც სოსანი, არც ვარდი და ზამბახი, მხოლოდ რომელთა სახელებიც იციან ჩვენმა პოეტებმა (სხვა ყვავილ-ბალახი მათთვის თითქოს არ არსებობს), მაგრამ ჩემთვის ეს უსახელო მცენარენი ზემოთ ჩამოთვლილ ყვავილებზე ნაკლებ პოეტურნი არ იყვნენ!..

ახლაც თვალწინ მიდგია მათი სინორჩე, მათი სურნელება, მათი ხავერდოვნება და, ნამეტნავათ, ის საიდუმლო სახე, რომელიც ნათელჰყოფს მათ მგრძნობელობას...

ასევე გაახსენდება ხოლმე შემოქმედების დროს სიყვარულის მგოსანს რომელიმე კეკლუცის მშვენიერება, თუმცა ერთხელ, ერთი თვალის დაკვრით უნახავს იგი და მისი მწყაზარი თვალები!... ვინ არის ის ქალი, რა ჰქვია და ან ვის ეკუთვნის იგი?

პოეტისათვის ასეთი კითხვები არ არსებობს... ის ეტრფის მხოლოდ სიმშვენიერეს და ამ მშვენიერების კაბადონზე აბამს თავისი ჩანგის სიმებს...

მეც მინდა ერთხელ კიდევ განვიცადო იმ მდელოს მშვენება.

ღმერთო, დაგვასწარ მეორე გაზაფხულს!

**ია ეკალაძე.**

(დასასრული იქნება).

## ექიმის საუბარი.

# ხოლერა*).

(მოკლე დარიგება).

მეცნიერთა გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ ყველა გადამდები ავათმყოფობის მიზეზი არიან ბაცილები. ბაცილა არის პაწაწკინა სულიერი არსება, რომელსაც ადამიანის თვალი ვერ დაინახავს. მის დასანახავათ არის გამოგონილი მეტად გამადიდებელი შუშა მანქანა, ეგრეთ წოდებული "მიკროსკოპი".

მეცნიერებისაგან დამტკიცებულია აგრეთვე ისიც, რომ ყველა გადამდები სენი გამოწვეულია თავისი განსაკუთრებული ბაცილით, ე. ი. ყველა გადამდებ სენს ჰყავს საკუთარი თავისი ბაცილა: მაგალითად; არის ბაცილა ჭლექისა, საოფლესი, ხოლერისა და სხ. მიკროსკოპის საშვალებით შეიძლება მათი მოყვანილობის გასინჯვა და გარჩევა, თუ რომელ გადამდებ ავათმყოფობას ეკუთვნის იგი.

ცნობილმა მეცნიერმა კოხმა 1883 წელს დაამტკიცა, რომ ხოლერის მიზეზი არის ტიპიური ბაცილები რომელთაც ეძახიან „ხოლერის ვიბრიონებს". ხოლერის ვიბრიონი თავის მოყვანილობით წააგავს საწერ ნიშანს—მძიმეს და ამიტომაც მათ დამატებით სახელათ უწოდებენ—"ხოლერის მძიმეებს".

ხოლერის ვიბრიონები მრავლდებიან და იზრდებიან 25—40 გრადუსიან სითბოში; ყველაზე უკეთ გრძნობენ თავს 37 გრად., მხოლოდ 50 გრადუსის შემდეგ კი იხოცებიან. როცა სითბო 15 გრად. ნაკლებია, მაშინ, თუმცა ცოცხლები რჩებიან, მაგრამ მათი ზრდა და გამრავლება შეჩერებულია. სიცივეს ხოლერის ვიბრიონები კარგათ უძლებენ; ნულზე ნაკლები სიცივე მათ არ ხოცავს; 30 გრადუს ყინვაშიაც კი აღმოაჩინეს ცოცხალი ვიბრიონები.

სიმშრალე, და მასთან ერთად სინათლე და მზის სხივები სასტიკათ ხოცვენ ხოლერის ვიბრიონებს. ამიტომაც ხოლერის საწინააღმდეგო მისაღებ ზომათა შორის სიმშრალეს და სისუფთავის დაცვას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს.

ხოლერის ვიბრიონი შხამავს ადამიანს მხოლოდ მაშინ, თუ იგი სასმელს და საჭმელს ჩაჰყვა კუჭში და გადავიდა ნაწლევებში, ამიტომაც ყველა ზომები ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ არის დამყარებული იმაზე, რომ ხოლერის ვიბრიონები არ მიეკარონ რომელიმე საჭმელს ან სასმელს და მათთან ერთათ არ გადავიდნენ კუჭში და ნაწლევებში.

დამტკიცებულია, რომ საღ ადამიანის კუჭში, როცა კუჭის ცხარე წვენი ნორმალურ მდგომარეობაშია, საკმარისად მოიპოვება იქ სიმჟავე, (რითაც კუჭი და ნაწლევები ნორმალურად ანელებენ საჭმელს.) ხოლერის ვიბრიონები კიდევაც რომ ჩაჰყვეს ადამიანს, მჟავე კუჭის წვენი მათ ანადგურებს და ადამიანი უვნებლათ რჩება. მხოლოდ, თუ ადამიანის კუჭი დაავათმყოფებულია, დაძაბუნებულია და ვერ შეუძლიან საკმარისად დაამუშავოს ასეთი სიმჟავე, რის გამო საჭმლის მონელებაც უჭირს,—ან თუ საღი ადამიანის კუჭი და ნაწლევები მოშლილია რომელიმე მოუნელებელი საჭმელით, ან სასმელით, ან ლოთობით დაძაბუნებულია— მაშინ ხოლერის ვიბრიონები ადვილათ გადურჩებიან ხოლმე კუჭის წვენს და უვნებლათ მიაღწევენ ადამიანის ნაწლევებს, სადაც იგინი პოულობენ თავის გასამრავლებლათ მშვენიერ ნიადაგს: ნაწლევების წვენი და მათი სითბო ძლიერ ხელს უწყობენ ვიბრიონების ზრდასა და გამრავლებას; აქ ისინი მრავლდებიან საოცარი სისწრაფით, შხამავენ ადამიანის მთელ სხეულს და იწვევენ ხოლერას. აი ამიტომაცაა საჭირო, რომ ხოლერის დროს ყველამ და მით უმეტეს კუჭით და ნაწლევებით ავათმყოფმა უნდა ერიდოს იმისთანა საჭმელს ან სასმელს რომლები იწვევენ ფაღარათობას და მით უმზადებენ ხოლერის ვიბრიონებს მათ გავრცელებისათვის მშვენიერ ნიადაგს.

ადამიანის ნაწლევების გარდა ხოლერის ვიბრიონები ცოცხლობენ და მრავლდებიან აგრეთვე წყალში და ნესტიან უსუფთავო, მყრალ ბინძურ ნიადაგზე, საიდგანაც იწამლება ადამიანი მრავალნაირი გზით და საშვალებით.

ჰაერის საშუალებით ხოლერის ვიბრიონი არ გადადის ადამიანზე და ვერც შხამავს მას. ამით განირჩევა ხოლერა ზოგიერთ გადამდებ სენისაგან, როგორიც არის, მაგალითად,—წითელა, ხუნაგი და ნამეტურ სახადი, სადაც ჰაერის საშვალებითაც ვრცელდება ავათმყოფობა. ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ხოლერიან საავათმყოფოებში იშვიათად ხდებიან ხოლმე ავათ ექიმები და ავათმყოფთა მომვლელები.

უმთავრესი მიზეზი ხოლერის გავრცელებისა არის **წყალი**.

წყალი შეიძლება მოიშხამოს, თუ რომ ხოლერით ავათმყოფის განავალი, ან პირიდან ნასაქმი, ან მათი შხეფი გაერია სასმელ წყალს. საკმარისია, რომ ხოლერიანი ავათმყოფის სარეცხის ნარეცხი ან განაბანი წყალი გაერიოს მდინარეს, რომ მთელი მდინარე მალე მოიშხამოს.

ხოლერის ვიბრიონები წყალში მშვენივრათ გრძნობენ თავს და მრავლდებიან საოცარი სისწრაფით, მხოლოდ, თუ წყალი გადმოადუღეთ, ვიბრიონები ერთიანათ იხოცებიან, რადგანაც ცეცხლს ვერავითარი ბაცილა და შხამი ვერ უძლებს. ამიტომაც ხოლერის დროს ურჩევენ, რომ მხოლოდ გადადუღებული წყალი იხმარონ. ხოლერის ვიბრიონები იხოცებიან აგრეთვე თუ რომ წყალში გაურიეთ რომელიმე სიმჟავე: მარილის, ლიმონის ანუ სხ., რძეშიც ხოლერის ვიბრიონები საუკეთესოთ მრავლდებიან, მხოლოდ, თუ რძე აადუღეთ ისინი მაშინვე იხოცებიან.

წყლის გარდა ავათმყოფი იშხამება აგრეთვე საჭმლით· ხოლერის ვიბრიონები შეიძლება მიეკაროს პურს, ყველს, მჭადს, ღომს და სხვა ყოველნაირ საჭმელს და მასთათ ერთათ გადავიდეს კუჭში და ნაწლევებში. საჭმელს შეიძლება გადაესხას აუდუღარი წყალი, ანუ მოხვდეს ტანისამოსი, ადამიანის ხელი ან რომელიმე ნივთი, სადაც ხოლერის ვიბრიონებია და ამ გვარათ მოიშხამოს საჭმელი.

ხოლერას ავრცელებენ აგრეთვე ბუზებიც. ბუზებს ძალიან უყვართ ჯდომა ყოველ მყრალსა და ბინძურ ადგილზე, ხოლერიან ავათმყოფის განავალ ნარწყევზე და აქედან გადააქვთ ვიბრიონები მაზე, რაზედაც შემდეგ დააჯდებიან, თვითონ ბუზები კი უვნებლათ რჩებიან.

შემდეგი ზომები უნდა მიიღოთ ხოლერის წინააღმდეგ

**ექ. გ. გოკიელი.**

(შემდეგი იქნება).

*) შენიშვნა—თფილისში უკვე იჩინა თავი ხოლერამ: ამ უკანასკნელ დღეებში თითქმის ყოველ დღე რამდენიმე შემთხვევაა ხოლერასა.

# ვითომდა პოლიტიკანობა.

შაბათს, 1 აგვისტოს, დასრულდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის შენობაში სახალხო მასწავლებელთათვის გამართული საკონსერვო კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობდა მასწ. მიხ. შარაშიძე. კურსების დასრულებას დაესწრო სახალხო შკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი, რომელმაც სიტყვით მიმართა იქ დამსწრე მასწავლებლებს. ამ სიტყვაში ბ. დირექტორმა სავსებით გაიმეორა ის, რაც სთქვა კურსების გახსნისას მის მნიშვნელობაზე და სურვილი გამოსთქვა ასეთი ცოდნის ხალხში ფართოდ გავრცელების შესახებ.

ასეთი სურვილი ბ. დირექტორის მეტად სიმპატიურია და ჩვენი მხრით მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, მაგრამ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ მისი სიტყვის ის ადგილი, სადაც ის შეეხო სწავლების საქმეს ჩვენ შკოლებში, შეადარა იგი რუსეთის სახალხო სკოლებს და აღნიშნა, რომ იგი იმის მეათედ ცოდნასაც კი ვერ აძლევს ამ სკოლებიდან მოსულ ბავშს, რამდენსაც იგი იღებს რუსეთშიო, რის მიზეზათაც, მასწავლებლათა მიერ სკოლაში პოლიტიკის გამეფება დაასახელა.

სწორეთ ამაზე იტყვიან „ჩემი შენ გითხარი—გული მოგიკალიო".

პოლიტიკა, რომ მართლაც არსებობს ჩვენს სკოლებში და მაგარ რკინის ხუნდებით ბორკავს მას ეს მგონი არავისთვის ახალი არ არის, მაგრამ ამის მიზეზი არიან არა სახალხო მასწავლებლები, ეს უანგარო მუშაკნი, არამედ თვით ამ საქმის სათავეში მდგომნი პირნი, რომელნიც ყველგან რუსეთის მოღალატეობას ხედავენ და „საჭირო ზომების" მიღებასაც არ აყოვნებენ.

აბა რაში გამოიხატა მასწავლებელთა მიერ პოლიტიკის გამეფება სკოლაში?.. ნუ თუ იმაში, რომ მათ ერთხმათ დაჰგმეს ბავშვების სულიერათ დამამახინჯებელი, ყველასაგან უარყოფილი მუნჯური მეთოდი და მის ადგილას ფართო თვალსაჩინოებაზე დამყარებული მეთოდი შემოიღეს, რომლის დროსაც მხოლოდ საჭიროების დროს მიმართვენ ხოლმე სამშობლო ენაზე თარგმნას, ამას ხომ თვით დირექტორიც არ უარყოფს და, პირიქით საუკეთესოდაც აღიარებს, რაც ნათლად გამოსთქვა თავის, ამ დღეებში წარმოთქმულ, სიტყვაში.

ბ. დირექტორი ბრალს დებს მასწავლებლებს იმაში, თითქო ისინი უარყოფდენ თვალსაჩინოებას სწავლების დროს. თხოულობდენ განსაკუთრებით თარგმნით მეთოდს. ეს ბრალდება ბ. დირექტორისა საბუთს მოკლებულია, სახალხო მასწავლებლები არაოდეს არ ყოფილან და არც იქნებიან განსაკუთრებით თარგმნითი მეთოდის მომხრე, რადგან მათაც კარგად ესმით სიდიადე თავიანთი მოვალეობისა. და, თუ ისინი ამხედრდენ შარშან მუნჯურ მეთოდის წინააღმდეგ,—ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმათ ფეხქვეშ გასთელონ ყოველივე საღი პედაგოგიური პრინციპები. და ბ. დირექტორი თუ მაინც ამბობს, რომ მასწავლებლები პოლიტიკანობენო, ვიწრო ნაციონალურ გრძნობით გაჟღენთილნი უარყოფენ ყოველივე—საღ—პედაგოგიურ პრინციპსო და სხვა...—ეს ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ მასწავლებელთა და მათ უფროსებს შუა სრული გაუგებრობა სუფევს; მათ შორის არ არის გაბმული ის შემაერთებელი ძაფი, რომელიც ხელს უწყობს ყოველივე საქმის წინ მსვლელობას; იგინი მუდამ ებრძვიან მასწავლებლებს და არ იციან კი რისთვის...

საჭიროა ბოლო მოეღოს მათ შორის ასეთ გაუგებრობას, საჭიროა გაიბას შემაერთებელი ძაფი, თუ მართლაც აინტერესებს მათ ჩვენი სკოლის ბედ-იღბალი.

**მაია ჩია.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

**განცხადება.** ძმ. ქორქოლაძეები აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღებთ

**რამდენიმე ვაგონს თეთრსა და ყვითელ სიმინდს,**

რომელსაც გავყიდით **ფუთს თვრამეტ შაურათ.** სიმინდს ვყიდით ქუთაისში ჩვენს საბაკალეინო მაღაზიაში, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, ხრესილში სადგურის პირდაპირ და ტყიბულის სადგურთან. ტყიბულის მუშტრებისთვის, ქუთაისში და ხრესილში უკვე მიღებულია და თანაც ველით.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.